საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№18/17 „15“ მარტი 2017წ.

შ.პ.ს. „კოლორი“-ს დირექტორს ბატონ გიორგი ჟორჟოლიანს.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი რკინიგზის ჩიხი №20ში, შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს საკუთრებაში არსებული საწარმოო-სასაწყობე შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20 ში, შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ №01.19.21.002.379) აგებულია ერთ სართულიანი სასაწყობე შენობა №12(1) საკადასტრო რუკის მონაცემის მიხედვით. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, გაბარიტული ზომებით l×b=47.50×20.5მ. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია ფოლადის ჩარჩოვან ვარიანტში. განივი მიმართულებით ნაგებობა ერთ მალიანია, სიდიდით 20მ. გრძივი მიმართულებით ჩარჩოს სვეტებს შორის ბიჯი ტოლია 470სმ.-ისა. ჩარჩოს სვეტებად გამოყენებულია ფოლადის პროფილური ელემენტებისაგან (შველერი №20), თაროებით შეწყვილებული ღეროები. სვეტები განივად ერთმანეთთან დაკავშირებულია ფოლადის h=75სმ. სიმაღლის ორტესებრი განივკვეთის ფოლადის მთლიანკედლიანი შედგენილი კოჭებით, სიგრძით 20მ. შენობის კედლების შემოზღუდვებად გამოყენებულია სამფენოვანი პანელები, ე.წ „სანდვიჩპანელები“, ქაფპოლიურეთანის შიგთავსით. სახურავი გადაწყვეტილია ასევე სამფენიანი პანელებით, რომლებიც დამონტაჟებულია განივი მიმართულების რიგელებზე (ზემოაღნიშნული 75სმ. სიმაღლის შედგენილი კოჭები) მოწყობილ გრძივანებზე. გადახურვად ასევე მიღებულია გრძივანებზე მოწყობილი

ფოლადის პროფილირებული ფენილი. საძირკვლები წერტილოვანია, ერთ საფეხურიანი, ძირის განივი კვეთით l×b=180×180სმ. სიმაღლით 70სმ.

შემოწმებით დადგინდა, რომ ნაგებობა იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში. მას არ აღენიშნება საძირკვლების არათანაბარი ჯდენებით ან რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეული დეფორმაციები. აღნიშნულის მიზეზია საკვლევი შენობის საძირკვლების ფუძის, საკმაოდ მაღალი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, რომელთა მნიშვნელობა ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, შემდეგია:

სიმკვრივე	$\rho=1.77$ტ/მ^3.შიდა ხახუნის
კუთხე	$\varphi=13^0$
ხვედრითი შეჭიდულობა	$c=0.2$კგ/სმ^2.
დეფორმაციის მოდული	$E=172.5$კგ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა	$R_0=2.5$კგ/სმ^2.

დასკვნა:

ჩატარებული კვლევის და არსებული საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისა და გაანალიზების მონაცემებიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ საწარმოო-სასაწყობე შენობა (12/1) იმყოფება დსამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში და მისი ექსპლოატაცია ხანგრძლივი ვადით ეჭვს არ იწვევს. ამასთან ერთად გაცნობებთ,რომ შ.პ.ს. „კოლორი“-ს ხელმძღვანელობის სურვილი, ჩაატაროს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კერძოდ წარმოდგენილ გენგეგმაზე „11“ ღერძის ზემოთ არსებულ ნაგებობას მიუშენდეს მინაშენი ზომებით გეგმაში l×b≈20.5×16.6მ; შესაძლებელია, რისთვისაც საჭიროა დამუშავდეს პროექტის როგორც არქიტექტურული ასევე კონატრუქციული ნაწილი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო შენობა უშუალოდ ემიჯნება ერთ სართულიან სასაწყობე შენობა №13(1) საკადასტრო რუკის მონაცემის მიხედვით. შენობის გაბარიტული ზომებია l×b≈29.25×9.26მ. იგი გადაწყვეტილია ფოლადის კარკასულ ვარიანტში. შენობის შემომზღუდავი კედლებისა და სახურავის ბურულის მასალად გამოყენებულია პროფილირებული ფენილი. შემოწმებით დადგინდა, რომ შენობას რამდენადმე მნიშვნელოვანი დაზიანებები და დეფორმაციები არ აღენიშნება და იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში. საპროექტო გადაწყვეტისას, მანძილი “e” და „12“; ასევე “e” და „13“; ასევე “e” და „14“ ღერძების გადაკვეთაზე საპროექტო სვეტების ღერძსა და შენობა №13(1)-ს კედელს შორის შესაბამისად ტოლია 84; 64; 40სმ. გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში თუ მიშენებული ნაწილი განხორციელდება არსებული შენობის კონსტრუქციების ანალოგიურად,

საძირკველის ძირი „14“ და “e” ღერძების გადაკვეთაზე მდებარე სვეტის ქვეშ ღერძიდან 90სმ. ნაშვერის გამო, შეიჭრება №13(1) შენობის ქვეშ 50 სმ. მანძილზე. „13“ და “e” ღერძების გადაკვეთაზე მდებარე სვეტიდან საძირკვლის შეჭრა №13(1) შენობის ქვეშ იქნება 26სმ, ხოლო „12“ და “e” ღერძების გადაკვეთაზე მდებარე სვეტიდან 6სმ. ასეთ შემთხვევაში იმისათვის, რომ საპროექტო შენობამ არ მიაყენოს უარყოფითი ტექნიკური ზეგავლენა არსებულ ნაგებობას, შესაძლებელია დაპროექტდეს არასიმეტრიული საძირკველი. ამ ტიპის საძირკვლებში ვექსცენტრისიტეტის გამო ჩნდება დამატებითი მღუნავი მომენტები, რომლის ათვისებაც უნდა განხორციელდეს სათანადო კვეთებისა და არმატურის მუშა ღეროების საშუალებით რაც მოითხოვს საძირკვლის გაანგარიშებას ექსცენტრული დატვირთვების გათვალისწინებით.

ზემომოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, აღნიშნული შენობების მზიდუნარიანობა უზრუნველყოფილი იქნება.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

დიპლომი

КВ № 153475

ეს დიპლომი მიეცა მიხეილ

ივანეს ძე სავალიძეს

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა

საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1985 წელს დაამთავრა

აღნიშნული

ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ხიდები და

გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.

„29" ივნისის გადაწყვეტილებით

მ.ი. სავალიძეს მიენიჭა ინჟინერ-

მშენებლის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. „31" XII

სარეგისტრაციო № 4810

Грузинский яз.

ДИПЛОМ

КВ № 153475

Настоящий диплом выдан Савелидзе

Михаилу Ивановичу

в том, что он в 1980 году поступил

в Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1985 году окончил полный курс

названного

института

по специальности мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной

комиссии от „29" июня 1985 г.

Савелидзе М.И.

присвоена квалификация инженера

строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „31" XII 1986 г.

Регистрационный № 4810

Московская типография Гознака. 1982.





მობილური ტელეფონი: +995 599 15 66 49.

საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „m o n o l i T i“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

პირადი მონაცემები (CV).

მე მალხაზ (მიხეილ) ივანეს ძე საველიძე დავიბადე ქალაქ ბათუმში 1962 წლის 22 ნოემბერს. 1966 წლიდან ვცხოვრობ ქალაქ თბილისში. 1979 წელს დავამთავრე ქ. თბილისის №77-ე საშუალო სკოლა. 1980წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი) სატრანსპორტო ფაკულტეტზე სპეციალობით ხიდები და გვირაბები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1985 წელს განაწილებით მოვხვდი საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტი“-ს (ამჟამად ამ შენობაში განთავსებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) პირველ არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (1985-1987 წლის სექტემბერი) მონაწილეობა მივიღე მრავალი სამრეწველო შენობის დაპროექტებაში. 1987წლის სექტემბრიდან 2005წლამდე ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის სამეცნიერო ინსტიტუტში, გამოყენებითი დრეკადობის თეორიის განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის წლებში გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები გარსული ტიპის გადახურვებში 1990 წელს დავაფუძნე საპროექტო ორგანიზაცია, კოოპერატივი „ხუროთმოძღვარი“ სადაც ვმუშაბდი მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია იწოდება შ.პ.ს. ”მონოლითი”, სადაც დღემდე ვმუშაობ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ორგანიზაციის ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ისნის რაიონი, გელათის ქუჩა №7 (საპრეზიდენტო რეზიდენციასთან ახლოს) ტელეფონი: 277-45-84.

განვლილი წლების განმავლობაში შ.პ.ს. ”მონოლითი”-ში ჩემი ხელმძღვნელობით დაპროექტებული და აშენებულია მრავალი სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მქონე (სამრეწველო, სამოქალაქო, საზოგადოებრივი და ხელოვნური) ობიექტები, როგორც ქალაქ თბილისის, ისე საქართველოს დანარჩენ რეგიონებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მოვიყვანთ შესრულებული სამუშაოების მცირე ჩამონათვალს:

- ალუმინის მეორადი გადამუშავების ქარხნის რეკონსტრუქცია ქ. რუსთავში. 1987 წ.
- ქ. რუსთავის ცენტრალური კინოთეატრის რეკონსტრუქცია. 2000 წ.

- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები ქ. თბილისში (დამკვეთები: შ.პ.ს. ”ცენტრ-პოინტი”; შ.პ.ს. ”საბა+”; შ.პ.ს. ”მოდული”; შ.პ.ს. ”D+”). 1997-2008 წწ.
- საინვესტიციო ჯგუფი ”ტიფლისი”.
- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობები ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში.
- მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. №8-ში. (საქართველო-ისრაელის ერთობლივი პროექტი). 2008 წ.
- კოჭური ხიდი ქ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში. 1995-1996 წწ.
- საყრდენი კედელი ქ. თბილისში. (მოსკოვის ქუჩა; ტაბიძის ქუჩა) 1997 წ. 2001 წ.
- სპორტის სასახლე ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე. 2007 წ.
- რკინიგზის სადგური ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2007 წ.
- საზკვების კომპლექსები ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე. ”წისქვილი”; ”თაღლაურა”; ”ლაკადა”
- ქ. ფოთის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი.
- სასტუმრო ქ. ქუთაისში. (რუსთაველის ქ. №5-ში). 2008 წ.
- ანგარი ავიაკომპანია ”აირზენა”-სათვის ბოინგი 737/500 ტიპის თვითმფრინავების დასაყენებლად. 2001 წ.
- ნავთობპროდუქტების შესანახი ბაზა ავიაკომპანია ”აირზენა”-ს საჭიროებისათვის ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ავიაკომპანია ”აირზენა”-ს თვითმფრინავების მგზავრთა კვებისა და მომსახურებისათვის საჭირო შენობა ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ღვინის ქარხნები, ყვარელში, სოფ. აკურაში, წინანდალში. 1998-2002 წწ.
- საცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №78.
- ”ცენტრ-პოინტი”-ს აცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე.
- ყინულის საციგურაო მოედნის კომპლექსის (საბურთალო) რეკონსტრუქცია.
- ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, ყვარელში. 2009 წ.
- ქართული კულტურის ცენტრის შენობა ქ. ბაქოში.
- მრავალფუნქციული კომპლექსი ქ. დნეპროპეტროვსკში 2009 წ.
- მუსტაფა ქემალ ათათურქის ქანდაკების კონსტრუქცია (სიმაღლით 29მ.) თურქეთში, ქალაქ ართვინში
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
- ძაღლსაშენი კომპლექსი მაკედონიაში, ქ. სკოპლე.

- ქ. თბილისის ძველი უბნების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გაძლიერება.
- ყოფილი ”ბერიკონი”-ს შენობა ”მშვიდობის” ხიდთან (კაზინო ”შანგრილა”) 2011 წ.

ცალკე აღსანიშნავია სავარიული ნაგებობების აღდგენა-გამაგრებითი საპროექტო სამუშაოები.

ქ. თბილისში დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ბაგა-ბაღები, საავადმყოფოები, სპორტული, ისტორიული მნიშვნელობის შენობები; რომელთა კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, აქტიური საავტორო ზედამხედველობის პირობებში შესაძლებელი გახდა მრავალი ნაგებობის გადარჩენა და შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაცია.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე. 599156649/